

## ლაზური ლექსიკის ადგილისთვის

### ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“

2010 წელს გამომცემლობა „არტანუჯმა“ გამოსცა ალიო ქობალიას „მეგრული ლექსიკონი“, რომელიც მოიცავს 90 ათას ლექსიკურ ერთეულს და ძირითადად ეფუძნება აფხაზეთსა (შუასოფელსა და სამურზაყანოში) და სამეგრელოში (ოდიშსა და ლაკადაში) მოძიებულ საველე მასალებს, ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაში შემორჩენილ, წარმართული ხანის მაგიურ სიტყვა-ფორმულებსა და უფრო გვიანდელ შელოცვებში, ნაკლებად შესწავლილ მიკროტოპონიმებში ჩაშიფრულ, ასევე სხვადასხვა დროის ქართველი და უცხოელი ენათმეცნიერებისა და ლექსიკოგრაფების მიერ შეკრებილ, დამოწმებულ და გაანალიზებულ ზანიზმებს.

ალიო ქობალია დაიბადა 1927 წელს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოში, ლექობალეს უბანში. 1952 წლიდან 1993 წლამდე ცხოვრობდა ოჩამჩირეში. სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფილოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ ეწეოდა ჟურნალისტურ საქმიანობას, მუშაობდა ოჩამჩირის რაიონული გაზეთის რედაქტორის მოადგილედ. გამოსცა რამდენიმე პოეტური კრებული.

ალიო ქობალია მთელი ცხოვრების მანძილზე რუდუნებით აგროვებდა მეგრულის ლექსიკურ ერთეულებს, ეთნოგრაფიულ მასალას, სწავლობდა მეგრელთა რწმენა-წარმოდგენების ამსახველ გადმოცემებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს.

სამწუხაროდ, აფხაზეთის ომმა შთანთქა ალიო ქობალიას მრავალწლიანი შრომის შედეგად შექმნილი ეთნოგრაფიული ჩანაწერები, მათ შორის ძიებანი ქართველთა, სახელდობრ, მეგრელთა კოსმოგონიური მითოლოგიის სფეროში, აფხაზეთში შეკრებილი მასალები ფრაზეოლოგიური, ონომასტიკური, მიკროტოპონიმური ლექსიკონებისთვის, მეგრულის მცოდნე აფხაზი მთქმელებისგან ჩაწერილი და გადმოქართულებული აფხაზური ზღაპრები, დაუსტამბავი

ლექსები და პროზაული ნაწარმოებები, მაგრამ სულით გაუტეხელმა შეძლო მათი ნაწილობრივი აღდგენა და შევსება დევნილობის უმძიმეს წლებში.

ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონს“ დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველურ ენათა შესწავლისათვის, ამას ადასტურებს ამ წიგნისადმი ის დიდი მოთხოვნა, რასაც ყოველდღე ვაწყდებით.

ლექსიკონის განსაკუთრებულ ღირებულებას მატებს ის, რომ შექმნილია აბჟუაში, შუასოფელში, სადაც გვერდიგვერდ თანაცხოვრობენ ქართველები და აფხაზები, შესაბამისად ინტენსიურია ენობრივი ზეგავლენები ორივე მიმართულებით.

ბუნებრივია, რომ ლექსიკონში დიდი რაოდენობით გვხვდება აფხაზიზმები. დადასტურებულია უკუნასესხობის შემთხვევებიც: გააფხაზურებული ქართველური ფორმა კვლავ უკუუსესხებია მეგრულს.

განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ლექსიკონში დადასტურებული ლაზური სიტყვები, რომლებიც სოლიდური რაოდენობითაა წარმოდგენილი.

ცნობილია, რომ აბჟუაში მრავლად ცხოვრობდნენ ლაზები. თ. სახოკიას გადმოცემით, მე-20 საუკუნის დასაწყისისთვის ოჩამჩირეში ცხოვრობდა 608 მოსახლე. ამათში 26 კომლი ლაზი იყო, სამი ბერძენი, ერთი სომეხი, ერთიც პოლონელი, დანარჩენები კი – მეგრელები (სახოკია 1985: 320).

ლაზები ძირითადად ვაჭრობით, მენავეობით ირჩენდნენ თავს, ოჩამჩირიდან გაჰქონდათ სიმინდი, ბზა, შემოჰქონდათ ხილი, ერბო. ამ სიტუაციის გამო (პროდუქტების შემოტანის) თ. სახოკია შენიშნავს: ეს იმას ჰგავს, ანაკლიაში კაცს შემწვარი თევზი მოჰქონდაო (იქვე: 323).

საანალიზოდ წარმოდგენილი ლაზური ლექსიკა რამდენიმე ნაწილად დავაჯგუფეთ:

### **1. საერთოქართველური ლექსიკა, რომელიც მეგრულში არ გვხვდება:**

სისხლის აღმნიშვნელი სიტყვა ყველა ქართველურ ენაში ერთი ძირიდან წარმოდგება, საერთოქართველური წარმოშობისაა: ქართული

სისხლი : მეგრული ზისხირი / ზისხერი : ლაზური დიცხირი / დინცხირი : სვან. ზისხ (ჩიქობავა 2008: 88).

მართალია, ივარაუდება, რომ მეგრული ზი- წინსართი მიღებულია დი-საგან: დი > ძი > ზი (ჩიქობავა), [ტ. გუდავა ვარაუდობს უკუპროცესს ზი > დი], მაგრამ მეგრულში არსად არ გვხვდება სისხლის აღმნიშვნელად ფორმა დიცხირი (ქობალია 242). ვვარაუდობთ, ეს სიტყვა სამურზაყანოში მცხოვრები ლაზების მიერაა გავრცელებული.

ლაზური ბერე „ბავშვი, შვილი“ მეგრულში მხოლოდ გვარების შემადგენელ ნაწილადაა დადასტურებული: ბერაია, გიგიბერია, კაკუბერია... დამოუკიდებლად ეს ძირი მეგრულში არ ჩანს.

აღ. ქობალიას ლექსიკონში სიტყვა მარტივი ფუძითაცაა წარმოდგენილი და კომპოზიტის ნაწილადაც: ბერე / ბეე „ვაჟიშვილი“ (გვ. 60, 61) და გეგებერი ზედმიწევნით „გეგეს, წმ. გიორგის ბიჭს“ ნიშნავს (გვ. 85). მოვადე ბავშვს წმ. გიორგის შეავედრებდნენ და საკუთარი სახელის ნაცვლად წმ. გიორგის ძედ, შვილად იხსენიებდნენ (შდრ. გეგეჭორი „წმ. გიორგის მონა“. ლექსიკონში გეგებერ-ის განმარტებისას მცირე უზუსტობაა დაშვებული, ნიშნავს არა გეგეს მონას, არამედ ძეს.

იგივე ბერე გვხვდება კომპოზიტში ლულუბერი „ჩვილი, ყრმა“ (გვ. 383). მეგრულში ლილი / ლილუ / ლულუ „ჩვილს, თოთოს, ახალშობილს“ აღნიშნავს. სიტყვის მეორე ნაწილი ლაზურია და „ბავშვს, შვილს, ძეს“ ნიშნავს.

„მეგრულ ლექსიკონში“ მაკიაფი „ტურის ტაბუირებულ სახელადაა განმარტებული“ (გვ. 386). არნ. ჩიქობავა „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ ლაზურ მკაფუ / კაფუ „ტურა“ უდარებს ქართულ მკივან-ს, თუმცა შენიშნავს, რომ ხოფურისთვის ბუნებრივი –აფ სუფიქსი უცხოა ათინურისა და არქაბულისთვის. იქ კრიამ- ფორმა იქნებოდაო. მკვლევარი იქვე შენიშნავს, რომ მეგრულში შესაბამისი ფორმა აქ ჩანს.

მართალია, ტურის აღმნიშვნელ ლაზურ სიტყვაში მეგრულ-ლაზური [რ]კიაფი გვაქვს, მაგრამ ლექსიკონში მითითებული სიტყვა

მეგრული რომ იყოს, რ სონორი უნდა იყოს შენარჩუნებული და სიტყვას \***მარკიაფუ** ფორმა უნდა მიეღოს.

თ. სახოკიას გადმოცემით, მეგრულ ე. წ. ტყის ენაში, ტაბუირებულ მეტყველებაში ტურას **კვალიჭყელი** „კვალდაწყველილი“, **მოცქაცქვალე** „მოცუნცულე“ ჰქვია (სახოკია 1985: 361). ეს ფაქტი დამატებითი არგუმენტია ჩვენი ვარაუდისა იმის შესახებ, რომ „მეგრულ ლექსიკონში“ ფიქსირებული **მაკიაფი** ლაზურიდანაა შემოსული.

ლაზური **წულუ**-ს „მცირე, პატარა“ შესატყვისად „ქართველურ ენათა ეტიმოლოგიურ ლექსიკონში“ მოყვანილია ქართული **წურილი**, **სიწლო** „სიმცირე“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 652). შესაბამისი მეგრული და სვანური ფორმები არ ჩანს. „მეგრულ ლექსიკონში“ **წულუ** განმარტებულია, როგორც „პატარა“ (გვ. 700). ეს სიტყვა ლაზურიდანაა შესული მეგრულში.

არნ. ჩიქობავა „ჭანურ-მეგრულ-ქართულ შედარებით ლექსიკონში“ შენიშნავს, რომ ლაზური **ყვილი / ცილი / ილი** „ძვალი“ : ქართული **ყვივი** „მხრის ძვალი“ შესატყვისი მეგრულში არ გვაქვს (ჩიქობავა 2008: 87). მართალია, ჩვენ მეგრულში დავადასტურეთ რედუპლიცირებული **ყვიყვილი** „თემოს ძვალი“ (ბუკია 1999: 32), მაგრამ მარტივი ფუძე არ ჩანს. ა. ქობალიას მიერ მითითებული **ცვილე / ცვილი / ცილი / ცული** (გვ. 655) ლაზურია.

**კანტარი / კანტაი** ლაზურში „სიმინდის კენწეროს“ ნიშნავს. არნ. ჩიქობავას მის შესატყვისად მოჰყავს ქართული **კენწერო**. მეგრულში ამავე საგნის აღსანიშნავად გამოიყენება სიტყვა **პოპორი**, რომელიც სულ სხვა ძირია. ა. ქობალიას ლექსიკონში მოხმობილია **კანტარი** „სიმინდის ფოჩი“ (გვ. 353) ლაზურია.

**გენდუხერი / გენდულერი** „ლაზური საჭმელია ერთგვარი“, ეტიმოლოგიურად „ადუღებული, მოდუღებული“. ძირში ჩანს საერთოქართველური **დულ**- ფორმა, შესაბამისად, ლაზური სიტყვის ზედმიწევნითი მნიშვნელობაა „დადუღებული“. ეს სიტყვა მეგრულში არ

გვხვდება, „ნადუღის“ მნიშვნელობით გვაქვს მისი ზუსტი ლექსიკური ფარდი **ნაფუნეფუ** „ნადუღი, ნადუღარი“. ა. ქობალიას ლექსიკონში წარმოდგენილი **გენდიხური** „კერძი“ (გვ. 93) ლაზური **გენდუხერ**-ის ფონეტიკურად სახეცვლილი ვარიანტია.

2. **მეგრულში გვხვდება სემანტიკის გადაწევით, ან კომპოზიტის ნაწილად:**

**ნოღა** „დაბალი, სილიანი და მსუქანი ადგილია“, მეგრულად „მდინარის გამშრალ კალაპოტს, მდინარის ტოტს“ ნიშნავს, გვხვდება ჰიდრონიმად: **ნოღელა** მდინარეა სენაკის რაიონში, ასევე გვაქვს ტოპონიმი **ონოღია** სოფელი ნოღელას ნაპირზე. ლაზური **ნოღა** „ნაპირი, დაბლობი“ (ფენრიხი, სარჯველაძე 2000: 362). „მეგრულ ლექსიკონში“ **ნოღა** განმარტებულია, როგორც „ქალაქი, დაბა“ (გვ. 526). ეს მნიშვნელობა აქვს მას ლაზურში. ვფიქრობთ, ლექსიკონისეული სემანტიკა ლაზურის გავლენითაა ჩამოყალიბებული.

**მოკლე**-ს შესატყვისი ლაზურში **მკულე** / **კულე**-ა, მისი ლექსიკური ფარდი მეგრულში **კუნტა**-ა, რომელიც სულ სხვა წარმოშობისაა. **კულე** შენარჩუნებულია მეგრულ კომპოზიტში **ხეკულე** და „მოკლესილიანს, დაავადებულსილიანს“ ნიშნავს. დამოუკიდებლად ეს სიტყვა (**კულე**) მეგრულში დღეს არ ჩანს (ივარაუდება, რომ **კუნტა**-ს მეგრულში **კულე** უსწრებდა). შესაბამისად, მივიჩნევთ, რომ ა. ქობალიას ლექსიკონში დადასტურებული **კულე** (გვ. 375) ლაზურის გავლენითაა გაჩენილი.

**მუთუნი** მეგრულში „რამეს, რაღაცას“ ნიშნავს, **უ-ელ** თავსართ-ბოლოსართიც აქტიური მორფემაა, მაგრამ მეგრული არ იცნობს ფორმას **უმუთელი** „უქონელი, უპოვარი“, არც მისგან ნაწარმოებ **უმუთელობას** „სიღარიბეს“. ეს სიტყვები მხოლოდ ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“ გვხვდება (გვ. 612).

3. **ჰიბრიდული კომპოზიტები, რომლის ნაწილი მეგრულში პოვნეირია, ნაწილი კი – უცხოენოვანი:**

**კალაგალენი** ლექსიკონში განმარტებულია, როგორც „გარეცხე“ (გვ. 352). **კალა** თურქულიდან არის შესული ერთი მხრივ ლაზურში, მეორე მხრივ კი, აფხაზურში. მეგრულში ეს სიტყვა არ დასტურდება. კომპოზიტის მეორე ნაწილი **გალენი** მეგრულსა და ლაზურში „გარეთას“ ნიშნავს. სავარაუდოდ, სიტყვა კომპოზიტის სახით, უკვე გაკომპოზიტებულია ნასესხები მეგრულში.

ლექსიკონში წარმოდგენილია **გერმაკოჩი** „ტყის კაცი“ (გვ. 96). ეს სიტყვა (მთლიანი კომპოზიტი) აქტიურად გვხვდება ლაზურ ნარატივებში, ისევე, როგორც მისი თურქული ინგრედიენტი **გერმა** „ტყე“. კომპოზიტის მეორე ნაწილი საერთოქართველური **კაც**-ი : **კოჩ**-ია. მეგრულში არც **გერმა**, არც კომპოზიტი **გერმაკოჩი** არ დასტურდება.

4. **თურქულიდან და ბერძნულიდან შეთვისებული სიტყვები, რომლებიც მეგრულში არ ჩანს:**

ნასესხებ ლექსიკასთან დაკავშირებით შესაძლო იყო გვეფიქრა, რომ ის სამურზაყანულ (უფრო სწორედ, აბჟუურ) მეგრულში აფხაზურის გავლენით შესულიყო, რომელიც თავის მხრივ თურქული ენის ძლიერი გავლენას განიცდის, მაგრამ ჩვენ ხელთაა ლექსიკური ერთეულები, რომელიც აფხაზურში არ გვხვდება, ან სიტყვას არ ეტყობა აფხაზური გავლენა (სიტყვები ლაზური ფონოტაქტიკის მიხედვითაა გაფორმებული), შესაბამისად, ეს სიტყვები ლაზურის გავლენითაა მეგრულში დამკვიდრებული.

თურქულიდანაა ლაზურში შეთვისებული **გემიჯი** „მეზღვაური, გემის კაპიტანი“. აქედან შემოვიდა მეგრულში (უფრო ზუსტად, „მეგრულ ლექსიკონში“) სონორგანვითარებული **გემინჯი** (გვ. 91). მეგრულის სხვა ლექსიკონებში, ეთნოგრაფიულ თუ ზეპირსიტყვიერების მასალებში ეს სიტყვა არ ჩანს.

თურქულიდანაა ნასესხები ლაზურში **ბიზი** „იხვი“. მეგრული ლექსიკონის **ბიზი** (გვ. 62) ლაზურის გავლენითაა გაჩენილი.

თურქულიდან ნასესხობაა ლაზურში „ციხე-სიმაგრის“ აღმნიშვნელი **კალა / კალე**. ეს სიტყვა მეგრულში არ გვხვდება. ქობალიას ლექსიკონში **კალა** „ციხე“ (გვ. 352) ლაზურის გავლენითაა გაჩენილი.

**თინჩი** ლაზურში თურქულიდანაა შეთვისებული და „დინჯს“ ნიშნავს. ეს ფორმა ვერ დავადასტურეთ მეგრულში, თუმც გვაქვს აფხაზურში თურქულიდან ნასესხობის სახით: **თენჩ** „მშვიდი, დინჯი“ (რალ 1964: 551).

ასევე თურქულიდანაა ნასესხები ლაზურში და ამის ნიადაგზე აღმოჩნდა „მეგრულ ლექსიკონში“ **კილისა / კლისა** „ეკლესია“ (გვ. 265, 271). სხვა სახის მეგრულ მასალაში ეს სიტყვა არ ჩანს.

მეგრულის სხვა ფიქსირებულ მასალაში არ აღმოჩნდა ლაზურში ბერძნულიდან შესული **კალაში** „ცხელი ქარი, გრიგალი“ (გვ. 352). ეს სიტყვაც აბჟუაში მცხოვრები ლაზების მეტყველებიდან აქვს აღებული ა. ქობალიას.

ბერძნულიდან შეთვისებული **ღნოსი** „ჭკუა, გონება“ ფართოდაა დამკვიდრებული ლაზურში. მისგანაა ნაწარმოები **უღნოსელი / უნოსელი** „უგნური, უჭკუო“. სიტყვა მეგრულშიც შემოსულა იმავე მნიშვნელობით (გვ. 613), თუმცა ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ სხვა მეგრული წყაროები არც **ღნოსს** და არც **უღნოსელს** არ იცნობენ.

აშკარად ლაზურის გავლენითაა გაჩენილი მეგრულში **მალათე / მალთე / მართე** (გვ. 387), ასევე მისგან ნაწარმოები **მალთენობა** (გვ. 387). ეს სიტყვები ლაზურში „მეზობელს“ და „მეზობლობას“ ნიშნავს, მეგრულში შემოსვლის შემდეგ სემანტიკა დავიწროვებია და ნიშნავს „მეზობელს მემთეურ მეჯოგეებში“ და „მომიჯნავე მეჯოგეთა გაერთიანებას“.

ამავე რიგში განიხილება იმავე სემანტიკის **მანძგერი** (გვ. 389). ლექსიკოგრაფისთვის ის „მომიჯნავე მეზობელია“, ლაზურში კი ზოგადად „მეზობელს“ ნიშნავს.

ლაზურის გავლენითაა გაჩენილი აბჟურ მეგრულში **სუაკი** „ქამბალა“ (გვ. 596), **სუაკიში** „სუაკის დასაჭერი ზადე“ (იქვე), **ტონო** „ანკესზე გამობმული კანაფი ან ძუა“, **ტკომილი** „ანკესზე გამობმული სატყუარა“.

ეს არის მცირე ნაწილი ლაზური ლექსიკისა, რომელიც აბჟურ მეგრულში გვხვდება და წარმოდგენილია ა. ქობალიას „მეგრულ ლექსიკონში“.

მითითებული ლიტერატურა:

- ბუკია 1999** – მ. ბუკია, ცხენოსნობისა და მეცხენეობის ლექსიკა ზანურში, სადისეტრაციო ნაშრომი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი
- რალ 1964** – Русско-абхазский словарь, гл. ред. Х. С. Бгажба, Сухуми
- სახოკია 1985** – თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბათუმი
- ფენრიხი, სარჯველაძე 2000** – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი
- ქობალია 2010** – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010
- ჩიქობავა 2008** – არნ. ჩიქობავა, შრომები, ტ. IV, ჭანურ-მეგრულ-ქარული შედარებითი ლექსიკონი, თბილისი



## О лазской лексике в „Мегрельском словаре” А. Кобаля

(резюме)

В статье представлен анализ тех лазских слов, которые встречаются в „Мегрельском словаре” А. Кобаля.

В регионе, в котором собран материал для словаря, компактно проживали лазы. Это стало причиной появления в абжуйском мегрельском слов, которые не выявлены в других (лексикологических, фольклёрных или этнологических) источниках.

ფილოლოგიური პარალელები, ტ. 6, თბილისი, 2013, გვ 7-14  
Philological parallels, V. 6, Tbilisi, 2013, p. 7-14